პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 თებერვალი შაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 40 (15861)

რაიკომი კონფერენციის შემდეგ

«Правда» 15 თებერვლის მოწინავე

ეამთავრდა რაიონული პარტიული კონფერენციები. ახლნი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო თვითეული რაიონის კომუნისტთა ცხოვრებაში. განხილეს საანგარიშო პერიოდის შედეგები, გამოთქვეს განაწყენები და ხურვილები მომავლისათვის, ახლად არჩეული რაიკომების შემადგენლობაში იღებენ დიდი საქმეების ეხტაფეტას.

თვითეული რაიონის წინაშე ახლა დასახულია პასუხსაგები და რთული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ ს.კკპ XXIV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. მიმდინარე წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნება არა მარტო მთლიანად ხუთწლეულის წარმატებით დამთავრებისათვის, არამედ სახალხო მეურნეობის მთელი შემდგომი განვითარებისთვისაც. უნდა უზრუნველყოთ ეკონომიკის ზრდის კიდევ უფრო სწრაფი ტემპები, გავაუმჯობესოთ თვისებრივი მაჩვენებლები, მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. ამ ამოცანების რეალიზაცია პარტიის რაიკომების მთავარი საზრუნავია მათი საქმიანობის ახალ ეტაპზე.

მაგალითად, რით დაიწყო მუშაობა კონფერენციის შემდეგ ახლადვე ოლქის პუსტოშკის რაიკომმა? საფუძვლიანად გაანალიზეს ურ კომუნისტთა გამოსვლები საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს, აქ დახასეს პირველი რიგის მოქმედების გეგმა. მათ შორის — ხოლოს მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მინდვრების მოხალვლაწოობისა და ფერმების პროდუქტიულობის გადიდების, ბაზიფუულიანობის სანიმუშოდ მომზადების ღონისძიებანი. აიღეს მოწინავე გამოცდილების ღრმად შესწავლის კურსი. მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და პარტორგანიზაციათა მდივნების სემინარმა, რომელიც გაიმართა კონფერენციის დელეგატთა წინადადებით. ველიკეე ლუკის რაიონის საუკეთესო კოლმეურნეობათა ბაზაზე, ბევრი რამ ხაგულისხმო მისცა მის მონაწილეებს. რაიკომი ცდილობს უფრო ფართოდ გამოიყენოს ყოველივე სახარგებლო თავისი და მეზობელი რაიონების პრაქტიკიდან.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში აღნიშნულია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის დამატებითი რეზერვების ძიებას, რომლებიც შეიძლება გამოავლინონ და აამოქმედონ მინდობილი საქმისათვის თვითეული კოლექტივის შემოქმედებითი მიდგომის, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შეოხებით. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიის რაიონულ კომიტეტებზე. მათ უფრო ღრმად უნდა გააანალიზონ საწარმოთა და მეურნეობათა შესაძლებლობანი, აქტიურად დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს, პროგრესულს, მშრომელთა მეცადინეობა წარმართონ უმცირესი დანახარჯებით, უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

კონფერენციების შემდეგ განვლილ დროში ზოგიერთმა რაიკომმა ბევრი რამის გაკეთება შეძლო. ბაქოს ლენინის რაიონში „ლენინწავთობის“ სამმართველოს კომუნისტებმა დაიწყეს დიდი მუშაობა, რომელიც საშუალებას მისცემთ გაადიდონ ნავთობის ამოღება. კოოპერირებულ მიწოდებათა დისციპლინის განმტკიცებას ემსახურება თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივის თაოსნობა, რომელიც ქალაქის პარტიის რაიკომებმა მოიწონეს. პერმის ოლქის ოსის რაიონში სრულყოფენ ღორის ხორცის წარმოების საკოლმეურნეობათშორისო სამეურნეო ანგარიშიანი გაერთიანების ორგანიზაციას, ახდენენ ახალი რეზერვების მობილიზებას ბე-ტუის დამზადებაში. ბევრია ისეთი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ რაიონულ კომიტეტებს შეუძლიათ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის რთული ამოცანების ჯაჭვში გამოკეთ მთავარი რგოლი.

საქმიანი სჯა-ბაასი რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე მიმდინარეობდა ხოციალისტური შეჯიბრების განვითარებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ეამოცდილება, რომელიც შეძენილია პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მსვლელობაში, ხერხიოზული უურადღება დაეთმო იდეური აღზრდის, პარტიული ორგანიზაციების, მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის პრობლემებს. ახლა საჭიროა, რომ თვითეულმა კომიტეტმა სრულად გაითვალისწინოს საანგარიშო პერიოდის გაკეთილები.

რაიკომების ახლად არჩეულ შემადგენლობებს ბევრი საქმე ელით. დასახული გეგმების რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება მათს იმ უნარზე, რომ მთელი მეცადინეობა მოახმარონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირეული საკითხების გადაწყვეტას, იმაზე, თუ რამდენად გამოიჩენენ თავს კომიტეტის წევრები, მისი აქტივი. გაწეული მუშაობის შესახებ რაიკომები ანგარიშს ჩაბარებენ ხუთწლედის ფინიშზე. დე ეს მოგნახ ახლნი შეხვდნენ მნიშვნელოვანი შედეგებით, ახალი ეტაპი ოავიანთ საქმიანობაში აღნიშნონ ს.კკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულთა წარმატებული შესრულებით.

საქართველოს აზალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XXX ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მივესალმება საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XXX ყრილობის დელეგატებს, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობის, საკავშირო-საოგანო საუკეთესო წარმომადგენლებს, და მათი სახით რესპუბლიკის კომკავშირელებს, კომუნიზმის ყველა ახალგაზრდა მშენებელს.

საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობა მიმდინარეობს ისრსსსრკ-ის ცხოვრებაში ეამოსალმელი ეტაპის ეაზეთ. ეს ეტაპი ეკავშირება ჩვენს ქვეყანაში მაოალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით, აღმშენებლობის დიადი პათოსით, რაც გამოიწვია პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ.

ეს პერიოდი აღსანიშნავია კიდევ იმით, რომ უმთავრეეა კომკავშირისათვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავის ზეიმისათვის ფართოდ გაშლილ მზადება. ბელადის უკვდავი სახელი, მისი ცხოვრების დიადი გმირობა, ლენინის ნათელი ეენია საბჭოთა ახალგაზრდობისათვის შთაგონების უშრეტი წყაროა.

საქართველოს კომკავშირი — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — აქტიურად მონაწილეობს ს.კკპ XXIV ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

რესპუბლიკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა, ისე როგორც საბჭოთის მთელმა ახალგაზრდობამ, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა აღიქვეს როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა და ხუთწლედის მეოთხე წელს აღნიშნავენ მაღალი შრომითი მიღწევებით. ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და სასწავლებლებში ახალგაზრდობა პრაქტიკული საქმეებით კიდევ ერთხელ ცხადყოფს თავის ერთგულებას ლენინის იდეებისადმი, პარტიის დიადი საქმისადმი.

საქართველოს ახალგაზრდობის, მისი მოწინავე რაზმის — ლენინური კომკავშირის სახელოვან საქმეებზე მეტყველებს მეტყველებს შემდეგი ფაქტი: 184 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მონაწილეობს პატრიოტულ მოძრაობაში „ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება“, დაახლოებით 62 ათასი — შრომობს დეკეთხთ „ხუთდღიური — ოთხ დღეში“, თითქმის 3 ათასმა ახალგაზრდა მშრომელმა უკვე დაამთავრა პირადი ხუთწლიანი გეგმები. დიდი ახალგაზრდობის წვლილი მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაში. მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის დიდმა შრომითმა ენთუზიაზმმა, მათმა მტკიცე გადაწყვეტილებამ, რომ მოწინავეთა მიღწევა გახდეს თვითეული მუშაობის ნორმა, წარმოშვა ახალი კარგი თაოსნობა — „კომკავშირული ორწლედი“.

ეს პატრიოტული თაოსნობა, რომელსაც ფართოდ დაუჭერა მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საშუალებას მისცემს თვითეულ კომკავშირელს, თვითეულ ქალიშვილსა და ჭაბუკს განსაზღვროს თავისი კონკრეტული მონაწილეობა შემზადერი გეგმებისა და ხუთწლედის დარჩენილი ორი წლისათვის ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში.

საქართველოს კომკავშირი — პარტიის საიმედო რეზერვი და მებრძოლი თანაშემწეა, ახალგაზრდობის ავანგარდი, ქალიშვილებისა და ჭაბუკების ფიქრთა მესვეს რაზმის კომუნისტური პარტიის გარშემო, ეხმარება მას აღზარდოს მუშათა კლასის სამშობლოსადმი, შრომელი ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებს კომკავშირის, ახალგაზრდობის შესანიშნავ საქმეებს, მათ თავდადებულ შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ და ვამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ისინი კვლავაც მეტი ხალვათითა და შეუპოვრობით მონაწილეობას მიიღებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართო დანერგვისათვის, წარმოების რეზერვების უფრო უკეთ ათვისებისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენი ხალხის დიდ აღმშენებლობით შრომაში.

რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების ღირსების საქმეა ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეკონომიური პროპაგანდისა ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში, რომელიც დასახა ს.კკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

კომკავშირის, ახალგაზრდობის წინაშე ისახება ახალი ჰორიზონტები შრომით, მეცნიერული და შემოქმედებითი შემართებისათვის.

კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ძირეულად გაუმჯობესოს მუშაობა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმას, რომ ახალგაზრდობის ჩაუნერგოს ყველა იმ ნეგატიური მოვლენისადმი შეურიგებლობის გრძნობა, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს საზოგადოებაში, მაღალი ზნეობა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობები.

რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კარგად ესმით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის აქტიური და მიზანდასახული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა. რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას, ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის კომუნისტური შენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა კიდევ უფრო გაამრავლებს ენერგიასა თაობის მდიდარ რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს, ახალი ძალით ცხადყოფს თავის ერთგულებას ილიჩის ანდერძისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი. მიმდინარე წელს აღნიშნავს დამკვრელური შრომით, კარგი სწავლით ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს სასახელოდ.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გაბარჯგების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

კოსმონავტი-ეფრემოვი, საბჭოთა კავშირის გმირი ნ. რუსანოვისა და ჟრილობის დელეგატთა შორის

ს.ურათზე: ყრილობის სხდომათა დარბაზში. ეკ. ბინზაურის ფოტო.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის შესახებ

15 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობა.

ეფერის საზეიმო მარში. დარბაზში შემოაქვთ საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წითელი დროშა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშები.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ბ. გიგიბერია, ბ. გალაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ბ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ვ. ხარაძე, ე. შეევარდნაძე, ა. ჩურკინი, ბ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ო. ჩერქეზი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ყიდენეევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ვ. ხარლანოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შარტავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბარიცა, ბ. ფაჩუაშვილი, თბილისის სართავ-სატრიოტიკო კომბინატის მეშვა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ბარათაშვილი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მეზიარე, სოციალისტური შრომის ვირი ჭ. ბოგიტიძე, ვალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ხახაია, ოთხბზის მსოფლიოს ჩემპიონი ჯადარაკში ნ. გაფრინდაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის თანაშემწე თ. ხარშილაძე, კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, ახალგაზრდული გაზეთების რედაქტორები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ცნობას, რომ ყრილობას ესწრებიან სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ნ. რუკავიშნიკოვი, ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები — სომხეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირების, საშეფო ხომალდის „კრასნი კავკასის“ კომკავშირული ორგანიზაციის დელეგაციები.

ტაშის გრიალში შეკრებილებმა ყრილობის სამუდამო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის შეთაურობით.

მტკიცდება რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. საქართველოს ალკკ საუკეთესო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები:

ა) საქართველოს ალკკ ხელმძღვანელი ორგანოებისა;

ბ) სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დელეგატებისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. გიგიბერიამ ყრილობაზე წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის კომკავშირის XXX ყრილობისადმი.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობის, სრულიად საკავშირო ალკკ XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისა თვის მუშაობისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ ყრილობაზე გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ.

საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ რ. ნინიძემ.

ყრილობის დელეგატთა ტაშის გრიალში საქართველოს კომკავშირელთა მრავალათასიანი რაზმის საუკეთესო წარმომადგენლები — შრომითი თაოსნობების ინიციატორები ყრილობას გადასცემენ რესპუბლიკის ქალაქებელებისა და ჭაბუკების შრომითი მიღწევების ალბომ-ესტაფეტას.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების ჯამი გაამალა ჯამთა, რომელშიც მონაწილეობდნენ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ენდელაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის თანაშემწე თ. ხარშილაძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ცუგბა, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მეჩაი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ნიკოლაიშვილი, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ნაკაშიძე, თერჯოლის რაიონის სოფელ ახალი თერჯოლის ამბულატორიის გამგე დ. გაბუნია, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. კოტაევი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, კომკავშირის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი რ. მგდესიანი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი პ. მელნიკოვი, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. ზხეიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, პროფესორი თ. ბუაჩიძე, ლენინტოის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი თ. კილაძე, სსრ კავშირის ტანმოვაჭრეშეთა საკრები გუნდის წევრი რ. სიხარულიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი პ. მეძმარიაშვილი, თელავის რაიონის სოფელ ვანთის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეევანსე ზ. კორვალიძე, კომკავშირის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ბოკორიძე, თბილისის № 36 პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მ. გურგენიძე.

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ მომმე სომხეთისა და აზერბაიჯანის კომკავშირის წარმომადგენლების — სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის რ. არზუმანიანისა და აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგის რ. მუსაბეკოვის გამოსვლებს. ისინი სომხეთისა და აზერბაიჯანის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების სახელით მხურვალედ ძმურად მიესალმნენ საქართველოს კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, უსურვეს მათ ახალი წარმატებანი მუშაობასა და სწავლაში. სომხეთისა და აზერბაიჯანის კომკავშირის წარმომადგენლებმა ყრილობას გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ყრილობამ მოისმინა და დამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ჯ. ბერიძემ.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ ოქტომბრელები და პიონერები.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საქინფორმი).

ოფიციალური ვიზიტით

ბაგრანგეთის მთავრობის მიწვევით 15 თებერვალს მოსკოვიდან პარიზს ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. ბაგრანგეთის შემდეგ ა. ა. გრომიკო ოფიციალური ვიზიტით ჩავა იტალიაში იტალიის მთავრობის მიწვევით.

პარიზი, 15 თებერვალი. ბაგრანგეთის მთავრობის მოწვევით დღეს აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

პარიზის ორლის აეროდრომზე საბჭოთა სტუმრის დასვდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. შობერი, საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო და სხვა ოფიციალური პირნი. (საკ�sი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაზრდილი პროგრამა — მაღალი ეოთხოვნები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მიმდინარე წლის იანვრის გეგმის შესრულების შედეგებს. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის საკავშირო-სამეურნეო გეგმის ეიდიდეს ნაწილის ხელმძღვანელები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ინჟინერ-ეკონომისტების, ინჟინერ-ტექნიკოსების, ინჟინერ-ტექნიკური ინსტიტუტების, ინჟინერ-ტექნიკური ინსტიტუტების, ინჟინერ-ტექნიკური ინსტიტუტ

პარტიული ცხოვრება

შეცდომები დროზე უნდა გასწორდეს

პარტიის საქალაქო კომიტეტი და წარმოების პრობლემები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე და მეათე პლენუმებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკის მრეწველობაში იდგილი ჰქონდა პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპის შეცირებას ეს ნაკლი ახასიათებდა ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობას. მაგალითად, 1973 წელს 1970 წელთან შედარებით სტალინის სახელობის შახტში ქვანახშირის მოპოვება შემცირდა 40 ათასი ტონით, ორჯონიკიძის სახელობის შახტში — 79 ათასი ტონით. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ აღნიშნული შახტების პარტიული ორგანიზაციები სრულად ვერ ფფენებდნენ არსებულ რეზერვებს ქვანახშირის მოპოვების გასაღიდებლად. ტემპის შემცირებაში გარკვეული ბრალი მიუძღვით საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებს, რომლებიც სხვადასხვა გზით აღწევდნენ გეგმის სისტემატურ შემცირებას. მათ არ მიიღეს გადამჭრელი ზომები ახალ სიმძლავრეთა ასამოქმედებლად. ამჟამად მოქმედი სტალინის სახელობის შახტი მომავალში უნდა შეცვალოს ახალმა, შრენებარე დასავლეთის № 2 შახტმა. ხუთწლიანი გეგმით იგი მომავალ წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. მაგრამ, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, შახტის მშენებლობის დასამთავრებლად კიდევ ხუთი წელია საჭირო, ახალი შახტის მშენებლობის ასე გაჭიანურებაში (იგი უკვე მეცამეტე წელია შენდება), შახტმშენებლებს გარდა, უფრო დამნაშავეა გენერალური დამკვეთი — საქართველოს კომბინატი.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა ჯერ კიდევ შარშან მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება. ბევრი წინადადება და შენიშვნა გამოთქვეს კომუნისტებმა სტალინის სახელობის შახტის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე. საქალაქო კომიტეტი ან დასკვნამდე მივიდა, რომ ერთი მხრივ საჭიროა მშენებარე შახტის სამუშაოთა ტემპის დაჩქარება, ხოლო მეორე მხრივ ახალგამოკვლეული სამთო ველის მომზადება და სტალინის სახელობის შახტის განკარგულებაში გადაცემა. გფიქრობთ, ეს ვარიანტი სწორია და მისი განხორციელებისათვის მეტი მონდომება უნდა გამოიჩინონ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელებმა, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არა ჩანს.

ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების საქმეში ანალოგიური მდგომარეობაა ორჯონიკიძის სახელობის შახტშიც. აქაც იგვიანებს მესამე ლომა სამთო ჰორიზონტის მომზადება. საქალაქო კომიტეტმა და ტყიბულშახტმშენის სამმართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ თუ ქმედითი ღონისძიებანი არ განახორციელეს, ახალი ჰორიზონტის მშენებლობა მეტისმეტად გაჭიანურდება და ამით საფრთხე შეექმნება სათბობის ამოღების ზრდის ტემპს.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში ერთ-ერთი ძირითად ამოცანად დასახულია პროდუქციის გამოშვების მატება უმეტესად მუშათა შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდების გზით. პარტიის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ბევრი მეშახტე კომუნისტები იძლევა პირად მაგალითს ამ საქმეში. ავიღოთ პარტიის საქალაქო კომიტეტის მიუროს წევრი, სტალინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ლაჩიკაა. მისი ბრიგადა ერთ-ერთი პირველი გადმოვიდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მეტი ქვანახშირის მონგრევის ინიციატორად და მას მხარი დაუჭირა ლენინის სახელობის შახტის იმ კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელშიც აქტიურად შრომობს ცნობილი ნოვატორი მეშახტე, საუბნო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ს. ბირკაია. ამ პატრიოტულ ინიციატივას მხარი აუჭეს მეშახტე კომუნისტებმა ა. ლაფერაძემ, ვ. სვანიძემ, ო. ბერგაძემ, ზ. კაპანაძემ, კ. რობაქიძემ, ლ. კირკიტაძემ და სხვებმა.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სათბობის მოპოვების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში თვალსაჩინო პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა ლენინის სახელობის შახტის პარტიულმა კომიტეტმა, რომელსაც სათავეში უდგას სამთო ინჟინერი ი. ბუაძე. პარტიული კომიტეტი — კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანო კარგად ითვალისწინებს ადგილობრივ კონკრეტულ პირობებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობასა და ეფექტურობას. სწორედ ეფექტურობის, პარტიული ორგანიზაციის დიდი დამსახურებაა ის, რომ შარშან ლენინის სახელობის შახტმა გეგმის გადამეტებით ამოიღო 18 ათას ტონაზე მეტი „მაღი ოქრო“, თვითეული მჭაშნის შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაზარდა 2,4 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამცირა ნაკლოანობა.

პარტიული და სამეურნეო მუშაობის დიდი ნაკლოვანი ის, რომ ბოლო წლებში ტყიბულის შახტებში შრომის ნაყოფიერების გეგმების შესრულება ძირითადად ხდებოდა მეშახტის ფიზიკური ენერგიის მეტისმეტი დაძაბვით და არა ახალი ტექნიკის დანერგვით, არსებულის მოდერნიზაციით. შრომის მეცნიერული მეთოდების შემოღებით. სწორედ ამას უნდა მიეგწიროთ ის, რომ თავისი ტექნიკური აღჭურვილობის დონით ტყიბულის საბადო ბევრად ჩამორჩება ქვანახშირის სხვა მოწინავე საწარმოებს. ჩვენს შახტებში სათბობის მოპოვება თითქმის ისევ ამავე მეთოდებითა და ისევითვე მექანიზმებით წარმოებს, როგორც ამ 20-25 წლის წინათ. ტყიბულის შახტებში ვერ იქნა და ფეხი ვერ მოიკიდა ქვანახშირის მოშვრეგვამ კომბაინმა და სხვა თანამედროვე სამაბული მანქანებმა. კომბინატისა და შახტების ხელმძღვანელები, აგრეთვე ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მდივნები ამის ხსნიან ქვანახშირის ქანების თავისებური ჩაწოლით, დაშეშავების განსხვავებული სისტემით, რაც უსაფუძვლო თავის მართლებაა. მანქანათმშენებლობის ქარხნებს, რა თქმა უნდა, ვერ მოვთხოვთ იმას, რომ ყველა ცალკეული პროფილის შახტებისათვის გამოუშვას შესაფერისი კომბაინი. აქ საჭიროა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკებმა, ნოვატორებმა, სამთო საქმის წამყვანმა სპეციალისტებმა ერთობლივი ძალებით იდგილობრივ პირობებს შეუგუონ არსებული კომბაინები და მექანიზმები თანდათანობით მოდერნიზაციის გზით. ამ საქმეს დღემდე ყურადღებას ვერ აქცევდნენ საქართველოს კომბინატი და პარტიის საქალაქო კომიტეტი, რამაც, დიდი გავლენა იქონია ზოგიერთი საწარმოში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპზე.

ახლა პარტიის საქალაქო კომიტეტი სახეს საჭირო ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებებს ამ ნაკლოვანების გამოსასწორებლად, რაც ხელს შეუწყობს მიმდინარე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ამჟამად ჩვენ ყველაზე მეტად გვაღელვებს საქართველოს ქვანახშირის კომბინატისა და ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელის კონსერვატიული დამდაბიდებულება ისეთი მოწინავე, პროგრესული მეთოდისადმი, როგორიც არის ჰიდრავლიკური ვსება. საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, ამ საკითხს ბევრმა ორატორმა გაუსვა ხაზი. ამ მეთოდით ქვანახშირის მოპოვებას წინათ დიდი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ ბოლო წლებში ეს სახელმწიფოებრივი საქმე თითქმის ლიკვიდაციამდე მივიდა.

ვერავინ იტყვის, თითქოს პარტიის საქალაქო კომიტეტი ამ საკითხს უყურადღებას არ აქცევდა. იგი განვიხილეთ საქალაქო კომიტეტის მიუროს სხდომაზე, ამსჯელეს შახტების პარტიული ორგანიზაციის კრებებზე, დადგენილება დადგენილებად, მაგრამ. სამწუხაროდ, დადგენილების შესრულებას ვერ მივაღწიეთ.

ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საყარიერო მეურნეობის მოუწყობლობა და მექანიზაციის დაბალი დონე. ქვანახშირის კომბინატმა რატომღაც ბოლო ხანებში უარი თქვა საკუთარი მასალად ნაქერალის ბუნებრივი სილების გამოყენებაზე, ხოლო მისი შემცველი კირქვების კარიერის მშენებლობის დამთავრებას დღემდე საშველი არ დაუყენა. ჩვენ კი ოპერატიული ღონისძიებანი ვერ განვახორციელეთ ამ საკითხის მოსაგვარებლად. ვფიქრობთ, რაც შარშან ვერ გავაკეთეთ, წელს მაინც შეძლოთ მისი მოგვარება. ჰიდრავლიკური ვსების მეთოდმა თავისი წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს ქვანახშირის შახტების რეტაბელობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე ტყიბულის პარტიული ორგანიზაცია სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული საიჯარო კაპიტალური მშენებლობის დაბალი ტემპისათვის, ამ კრიტიკიდან საჭირო დასკვნები გაკეთეს ტყიბულშახტმშენის სამმართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა კომუნისტმა. პლენუმიდან განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად დაჩქარდა მშენებლობის ტემპი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ასამშენებელ ობიექტებს. დამთავრდა ორ საცხოვრებელ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წინ კიდევ უამრავი სამუშაოა.

მნიდა შეგჩერდე ზოგიერთ პრობლემურ საკითხზე, რომელთა გადაწყვეტაც მარტო ჩვენზე ოდენ ფიქრებ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს მშენებლობის ტემპსა და ხარისხზე დაგვიანებული ტემპი და ბარისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეში დამშეებული ნაკლოვანებანი. ტყიბულის სამშენებლო ორგანიზაციებს შარშან თითქმის ყველა მშენებარე ობიექტი მეოთხე კვარტალში დაუგეგმეს ჩასაბარებლად, ეს კი პრაქტიკულად შეუძლებელია. სხვა რომ არა იყოს რა, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდნენ მემონტაჟეები, რომელთაც არ ეყოთ საამისო ძალები, ასამუშავებელ სიმძლავრეთა ამოქმედების კვარტალური ეიდების არათანაბარი განაწილება, რა თქმა უნდა, პირველი შემთხვევა როდია. საჭიროა მკვეთრად ორგანიზებამ გითვალისწინონ ეს, წლის ყველა დროს თანაბრად დატვირთონ მშენებლები და მემონტაჟეები. საკვირველია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ქალაქის ისეთმა მსხვილმა სამშენებლო ორგანიზაციებმა, როგორიც ტყიბულშახტმშენისა და ტყიბულმშენის სამმართველოებია, 1973 წლის შესრულებული და საბოლოოდ დამტკიცებული გეგმები მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტიდან მხოლოდ აგვისტოში მიიღეს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს საბოლოო გეგმები იყვნენ დახვეული სერიოზული შეცდომებისაგან.

ბევრი სამშენებლო ორგანიზაციისათვის მეტად მტკივნეული საკითხია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და ტექნიკური დოკუმენტაციის დროული უზრუნველყოფა.

ასეთმა შეცდომებმა და მომარაგების საქმის მოუგვარებლობამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზეც. ძალიან ძნელია ეფექტიანი აგიტაციას შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებზე, ანდა მშენებლობის გაიაფებაზე იმ მშენებლებთან, რომლებმაც არ იციან საგეგმო დავალებანი, ანდა მზეს ეფიცხებიან სამშენებლო მასალების მოლოდინში.

ამ საკითხების მოგვარება საკუთარი ძალებით არ ძალგვიძს, ამიტომ მოვითხოვთ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ჩარევას, მათ საქმიან, პრაქტიკულ დახმარებას.

ამჟამად, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი პატრიოტულ აღმავლობით გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, როცა გაიმართა რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც ახალი სოციალისტური ვალდებულებანი მიიღო, ტყიბულელ მეშახტეები, მშენებლები და კოლმეურნეები ენერგიას არ იშურებენ, რომ ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში სულ უფრო თვალსაჩინო იყოს მათი წვლილიც.

ჯ. გოცირიძე,
საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ამხ. მიხეილ კონსტანტინეს-ძე **ბუნნენკო**, — წითელწყაროს რაიონის მრეწველობა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. — პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. ივანე ივგენისა-ძე **ვადოვი**, — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე. — პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ნამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. ალექსანდრეს-ძე **ულეა**, — საქართველოს სსრ შრომის ეროვნული ეკონომიკურ საბჭოს ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე. — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. — ეკონომიკურ მეცნიერებაში

გაზრდილი პროგრამა — მაღალი მოთხოვნები

(დასასრული)

ტად დაბალ მაჩვენებლები აქვთ გეოლოგიურ საწარმოო სამმართველოს, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, ხოლო კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, კულტურის, საავტომობილო გზების, რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ქვანახშირის მრეწველობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის საკავშირო სამინისტროებს, თუმცა იანვარში გეგმით უნდა იმოქმედებინათ ობიექტები, მაგრამ არც ერთი ობიექტი არ ჩაუბარებიათ.

წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასკოლო მშენებლობის გეგმა. მისი მოცულობის ზრდა შარშანდელთან შედარებით შეადგენს 86 პროცენტს. გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადასაცემ 35,5 ათასი მოსწავლის ადგილი შარშანდელი 26,6 ათასის ნაცვლად. მაგრამ ამ პროგრამის შესრულება იანვარში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა 45 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიხედვით კი 47 პროცენტით.

ჩამორჩენაა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ხაზით.

საიჯარო სამუშაოთა გეგმის შესრულების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე წინა წლებში. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით მან შეადგინა 106 პროცენტი, ზრდამ შარშანდელთან შედარებით შეადგინა 20 პროცენტი. შემცირდა იმ ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებმაც გეგმა ვერ შეასრულეს. ჩამორჩნენ მხოლოდ № 1, № 6, № 12, № 18 ტრესტები და სამხრეთ ოსეთის საავტომობილო სამმართველო.

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ გეგმა შეასრულა 109 პროცენტით. ზრდამ შარშანდელთან შედარებით შეადგინა 38 პროცენტი, მაგრამ № 1 და № 4 ტრესტები ჩამორჩნენ.

გადაჭარბებით შეასრულეს გადიდებული გეგმა სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს ორგანიზაციებმა.

მაგრამ მშენებლობის სამინისტრო ჩამორჩა სასკოლო, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების, ქიმიური მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის ობიექტების. აგრეთვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. სასოფლო მშენებლობის სამინისტრო დამაკმაყოფილებლად არ მუშაობდა სკოლებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის.

გეგმა ვერ შეასრულა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველომ. დიდი ჩამორჩენა აქვთ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კავშირგაბმულობის სამინისტროებისა და „საქსოფლსპეცმონტაჟის“ სპეციალურ სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს.

თათბირზე გამოსულმა საშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს იმ მიზეზებზე, თუ რატომ ვერ შეასრულეს იანვარის გეგმა. მათ თვითკრიტიკულად აღიარეს, რომ ჩამორჩენა ძირითადად გამოიწვია შრომის დაბალმა ორგანიზაციამ, საშენმა დროის დაკარგვამ, მან, რომ არ ჰქონდათ მარაგამეტი, ჯეროვნად არ იყენენ მოშზადებულნი ზამთრის პირობებში სამუშაოდ, მაგრამ დაასახელეს სხვაგვარი მიზეზებიც. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საშენებლო სამმართველო იღებს მხოლოდ 14-16 თვითსაცლელს, თუმცა მას ყოველ დღე სჭირდება 24 თვითსაცლელი. მთავარი კი, ის არის, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, რომ ახლანდელ პირობებში დიდ როლს ასრულებს შემკვეთთა აქტიური დაინტერესება მშენებლობის დაჩქარების მსვლელობით, ბევრი

□ ქაცმა ვაზი ახარა, ვაზმა კი მას ოჯახი გაუხარა! □ ვაზის ყინვაგამძლეობა, ჯიში და აგროტექნიკა სიუხვის დედაა! □ მოყინული ვენახი, ოქროს სამამული რქა და ვაზის ეკავალობა.

ვაზი თუ გიყვარს!

შეჯიბრებაში ჩაბმულ მევენახეთა დასახმარებლად

ქართული მიწის ხიამაყე ვაზი ოდითგანვე იყო ჩვენი ხალხის სამდიდრისა და ბედნიერების ერთ-ერთი ძირითადი წყარო. აღსანიშნავია, რომ ვაზმა და ქართველმა კაცმა საუუნეების მანძილზე ერთად სწიეს ცხოვრების მძიმე ჯაპანი. ამიტომ ამბობენ, კაცმა ვაზი ახარა, ვაზმა კი მას ოჯახი გაუხარაო. გადაბუბულ ნასოფლარებსა და ნაგებნახარებზე გამრჯე მარჯვენას ბეჭრჯერ განუახლებია ვაზის სიცოცხლე და სამუდამოდ დაუმკვიდრებია იგი ჩვენს მიწაწყალზე.

დიდი ამოცანებია დასახული ქართველ მევენახეთა წინაშე მეცხრე ხუთწლიანი გეგმის პირნათლად შესრულების საქმეში. ახლა მთავარია მიწათმოქმედების კულტურის საერთო დონის ამაღლება და, რაც მთავარია, ყინვისაგან დაზიანებული ვენახების სწრაფად აღდგენა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მეცნიერებთან და სპეციალისტებთან ერთად განიხილა რესპუბლიკის ვენახებისა და ციტრუსოვანთა ბაღების ყინვისაგან დაცვის საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება. ეს არის ნამდვილად სახელმწიფოებრივი ზრუნვა ეროვნულ კულტურებზე.

ვეფხასათვის ცნობილია, თუ რა დიდი სიძნელეების წინაშე დაადგა ჩვენი მევენახეობა 1971-1973 წლებში ზვრების დიდ ფართობზე მოყინვამ. ყინვა ნაკლებად მოგვაყენებდა ზარალს, ყველგან წინდაწინდელად რომ მოკიდებოდნენ ვენახების გაშენებისა და ვაზის მოვლა-პატრონობის საქმეს. ახლადათვისებულ მასივებზე განსორციელებული რომ ყოფილიყო დიფერენცირებული აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებს ვაზის ყინვაგამძლეობის უნარის გადიდებას, ასე არ მოხდებოდა.

ვაზის ყინვაგამძლეობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მცენარის კვების რეჟიმს, უარყოფა ზვინის კონცენტრაციას, გარემო პირობებს, ჯიშს და აგროტექნიკას. ვიდრე თვითეული მათგანის განხილვას შეუდგებოდეთ, გვინდა მოკლედ შევჩერდეთ ყინვისაგან მცენარის დაზიანების ფიზიოლოგიურ არსზე.

აკადემიკოს ნ. მაჩსიმოვის კლასიკური გამოკვლევებით ნათელი გახდა, რომ პირველად ყინულის კრისტალები წარმოიქმნება არა უშუალოდ უჯრედებში, არამედ მათი გარსის ზედაპირზე — უჯრედშორისებში, რომელთა უარყოფითი მოქმედება დაკავშირებულია პროტოპლაზმის დეფორმაციასთან, რაც იწვევს შეუქცევად კოაგულაციას და გალღობის შემდეგ უჯრედს აღარ ძალუძს შეკავება. ცხადია, ასეთ პირობებში, ფიზიოლოგიური პროცესების მსვლელობა მთლიანად ირღვევა და მცენარე მწყობრიდან გამოდის.

დადგენილია აგრეთვე, რომ ყინვაგამძლეობის მხრივ განსხვავებული ჯიშები, ერთნაირი სიძლიერით მცენარის მოყინვის შემთხვევაში, სხვადასხვა რადენობით წარმოქმნიან ყინულს თავიანთ ქსოვილებში. საერთოდ კი ყინვისადმი შედარებით გამძლე ჯიშებში წყალი ისე დიდი რაოდენობით არ დადის მყარ მდგომარეობაში, როგორც ნაკლებ გამძლეში.

მეცნარე უფრო ადვილად ზიანდება ტემპერატურის სწრაფად დაცემის დროს, ვიდრე მისი თანდათანობით დაწევისას. მეცნარის ყინვაგამძლეობის უნარს საგრძნობლად ამცირებს აგრეთვე ტემპერატურის დღეღამური ამპლიტუდა. მცენარის ყინვაგამძლეობა დაკავშირებულია უჯრედის წყვნის კონცენტრაციაზე. ცნობილია, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში სახამებელი ადვილად ჰიდროლიზდება და ამ დროს უჯრედში დიდი რაოდენობით გროვდება შაქრები, რომელთაც ყინვისაგან დამცველი თვისება აქვთ. ამიტომ ვეგეტაციის პერიოდში ვაზის ყველა ფესვი და მისი მოვლა-პატრონობა ისე უნდა წარიმართოს, რომ რქამ შეინარჩუნოს ჯიშის დამახასიათებელი სიმხნე, კარგად იყოს მომწიფებული და მდიდარი იყოს პლასტიკურ ნივთიერებათა მარაგით, რათა საკმაოდ მოშზადებული შეხვდეს ზამთრის პერიოდს და ადვილად არ დაზიანდეს ტემპერატურის დაცემისას.

რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს საქართველოში იმისათვის, რომ თავიდან აციცილოთ ყინვების უარყოფითი ზემოქმედება?

ყინვებისაგან ვენახების დაცვის მეთოდები რა ჯაფაა იყოფა. ერთი მათგანი ითვალისწინებს ვაზის დამარხვას ნიადაგში, ხოლო მეორე ემყარება შედარებით ყინვაგამძლე ჯიშების გამოყენებას და დიფერენცირებულ აგროღონისძიებათა სისტემის განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ვაზის ყინვაგამძლეობის უნარის ამაღლებას.

პირველი ღონისძიება — ვაზის დამარხვა ჩვენი პირობებისათვის საერთოდ მიუღებელია, რაც შეეხება მეორეს, იგი ძირითადად ორ ასპექტში უნდა იქნას განხილული, ეს არის ჯიში და აგროტექნიკა.

აი ის რადიკალური ღონისძიებანი, რითაც ამ შეხვედრებში მევენახეს უნდა ებეჭდებეროს.

ჩვენ გვაქვს შედარებით ყინვაგამძლე ჯიშები და კარგად უნდა გამოვიყენოთ ისინი. ჩრდილოეთის მკაცრ ყინვიან რაიონებში ევროპული ვაზის ჯიშების გამოცდისას გამორკვა, რომ რქაფოთლი საკმაო ყინვაგამძლეობით ხასიათდება. მაღალი აგროტექნიკის პირობებში 18-20 გრადუსამდე ყინვას უძლებს. აღნიშნული დადებითი თვისების გამო მოღდაეფეს და უკრაინაში რქაწოთელი რეკომენდებულია იმ ზონებში გასავრცელებლად, სადაც ზამთრობით ვაზი არ იმარხება.

მართალია, ადგილობრივი ჯიშები დღემდე არ ყოფილა საფუძვლიანად შესწავლილი ყინვაგამძლეობის უნარის მიხედვით, მაგრამ ბევრი ადგილობრივ ჯიშებს ყინვაგამძლეობა დაკავშირებულია უჯრედის წყვნის კონცენტრაციაზე. ცნობილია, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში სახამებელი ადვილად ჰიდროლიზდება და ამ დროს უჯრედში დიდი რაოდენობით გროვდება შაქრები, რომელთაც ყინვისაგან დამცველი თვისება აქვთ. ამიტომ ვეგეტაციის პერიოდში ვაზის ყველა ფესვი და მისი მოვლა-პატრონობა ისე უნდა წარიმართოს, რომ რქამ შეინარჩუნოს ჯიშის დამახასიათებელი სიმხნე, კარგად იყოს მომწიფებული და მდიდარი იყოს პლასტიკურ ნივთიერებათა მარაგით, რათა საკმაოდ მოშზადებული შეხვდეს ზამთრის პერიოდს და ადვილად არ დაზიანდეს ტემპერატურის დაცემისას.

ბევრ ადგილებში ეს ასეთია ამ ბრძოლის ფესვი. ეს ასეთია ამ ბრძოლის ფესვი. ეს ასეთია ამ ბრძოლის ფესვი.

„ბაკურიანი—74“: სწორებზა დროშაზე!

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადამდე, რომელიც ბაკურიანში გაიმართება, რამდენიმე დღე დარჩა. იგი დაიწყება 7 მარტს, მანამდე კი სპარტაკიადის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას ხელმძღვანელობით, რომელიც 14 თებერვალს შეიკრიბა ბაკურიანში საბოლოო სხდომაზე, კვლავ აუსტეკდა სეზონის ამ მთავარი სპორტული ღღესასწაულის დეტალებს.

მთლიანად, აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა, მომავალი სპარტაკიადის სპორტული ნაგებობანი — ტრამპლინები, სამარხილე და საშუალო-სათილამურო ტრასები — მზად არიან სტარტისათვის. მხოლოდ გასაყინი დარჩა სამარხილე ტრასა, მის გარშემო მაყურებლებისათვის ადგილის გაწმენდა. ბაკურიანელ ხელმძღვანელთა მიერ აშენებული ეს ტრასა, სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. მომავალში ამ ტრასაზე გაიმართება დიდი საერთაშორისო შეჯიბრებანი.

ზოგიერთი ნარკვევი გამოვლინდა ტრამპლინების საბაგირო გზაზე, მაგრამ მაღე ესეც გამოსწორდება. საერთოდ, ბაკურიანის საბაგირო გზების შემქმნელებმა — „საკმრწყვმეჭანიზაციის“ თბილისის საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილებისა და „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის სპეციალისტებმა რეკორდულად მოკლე დროში დააპროექტეს და ზამთრის ძნელ პირობებში აუშენეს ეს საპაერო ტრასები.

ახლა ექსპლოატაციის მუშაკების ჯერია, რომელსაც გადაეცათ ეს დიდი მეურნეობა. სხდომის მონაწილეებმა მიზანშეწონილად ცნეს შეიქმნას სპორტულ ნაგებობათა ექსპლოატაციის დირექცია რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ხელმძღვანელების მეთაურობით. დირექციას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ კომპლექსის ყველა სისტემის, თვითეული მისი რგოლის ზუსტი ფუნქციონირებისათვის.

საერთოდ, რესპუბლიკური სპორტული კომიტეტის ფუნქციები ახლა მნიშვნელოვნად რთულდება. იგი უნდა გახდეს სპარტაკიადაზე მთელი მრავალფეროვანი საქმიანობის მაკოორდინირებელი საბრძოლო შტაბი.

სპარტაკიადის შტაბი, რომელსაც ხათავეში უნდა ჩაუდგეს რესპუბლიკური სპორტკომიტეტი, ვალდებულია კომპლექსურად გადაჭრას ეს საკითხები, დარაზმოს და წარმართოს ყველა დაინტერესებული უწყება, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ყოველგვარი შეფერხება.

როგორც სხდომაზე სამართლიანად აღნიშნეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგემ ვ. სეხნიაშვილმა, სპარტაკიადა — ეს მარტო ქვეყნის სპორტული დღესასწაული როდია, ეს არის იმ დიდი მეგობრობის გამოვლინებაც, რომელსაც ქართველი ხალხი გრძნობს სსრ კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლებისადმი, ეს არის ტრადიციული სტუმართმოყვარეობის გამოვლინება, რომლითაც განთქმულია ჩვენი რესპუბლიკა. (საქინფორმი).

ყოველთვის ბევრი ხალხია მოსკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, სადაც გამოფენილია ეგვიპტის ფარაონის ტუტანხამონის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV ს.) სამარხის განძეულობა. გამოფენა მოაწყეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და ეგვიპტის საძველეთა დაცვის გენერალურმა ორგანიზაციამ.

გამოფენისათვის შერჩეული ექსპონატები მრავალფეროვანი და უნიკალურია. აქ ნახავთ ქანდაკებებს, ლარნაკებს, ავეჯს, სხვადასხვა სამკაულს.

ხერხემლიდან: ზემოდან — ტუტანხამონის ოქროს ნიღაბი; კაიროში ეგვიპტის მუზეუმის პირველი მცველი იბრაჰიმ ან ნავავი და ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის აღმოსავლეთის განყოფილების გამგე სვეტლანა ხოჯაში ტუტანხამონის ქანდაკებასთან; ქვემოთ მარცხნივ — მუზეუმის საგამოფენო დარბაზში: მარჯვნივ — კაპონის ალებასტრის თავი.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲡ ᲝᲠᲘᲜᲔᲑᲘ

ამ ამბავს ჩვეულებრივს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ არც ისე უჩვეულოა.

საქმე თანამედროვე ადამიანისათვის ისეთ უბრალო, ყოველდღიური მოთხოვნილების საგანს ეხება, როგორიც ტელევიზორია.

შარშან თბილისის ასმლსამოცე მაღაზიაში ნისიად შევიძინე ფერადი ტელევიზორი. თუ ვინმეს გაუჩნდება ასეთივე ტელევიზორის შეძენის სურვილი, გაძლევთ მაღაზიის უფრო ზუსტ კოორდინატებს — საკარნინარაიონი, ორხევის დასახლება. თბილმრეწვავჭრობის № 160 მაღაზია.

ძვიტანე სახლში ეს ძვირფასი განძი და მივუწინე ღირსეული ადგილი. თავად მე ვამჯობინე დივანზე წამოწოლა და ასე ჩემთვის მოხრეხული პოზიციიდან დავუწყე ტელევიზორს ყურება. და აი ამ შუაგულ ზამთარში ეკრანზე გამოჩნდა მწვანედ შემოსილი ტყე, ლურჯი გამჭირვალე ზღვა, სანაპიროზე უამრავი დამშვენებული და მსუბუქად ჩაცმული დიქტორი.

ბიჭმა! ამაზე კაცს ფულის გადახდა როგორ უნდა დაგვანახოს! — ვერ დავმალე აღფრთოვანება. თავი ზღაპარში ვგრძნობ და ეს რომ მართლაც ზღაპარი იყო, უმაღლეს ვიგრძენი, როცა ტელეეკრანზე ჯადოსნური ფერები გაკრა და დარჩა ძხოლოდ ჩვეულებრივი შავ-თეთრი გამოსახულება. ამ დღიდან იწყება ჩემი უბედურებაც. თავს არ შეგაბეზრებთ ზედმეტი ჩივილით, მაგრამ ერთი კი აუცილებლივ უნდა აღვნიშნო, რომ ტელევიზორი წამდაუწუმ ფუჭდებოდა, მე კი საქრადიოტელეტრესტის № 1 სატელევიზიო ატელიეს კარი მქონდა ატალახებული გამუდმებული ვიზიტებით.

კეთილი და სამართლიანი ადამიანების ხელშეწყობით, როგორც იქნა, მოვიშორე ჩემი უბადრუკი ტელევიზორი. თითქოს ხელმეორედ გავჩნდი ქვეყანაზე, უწინდელი ჩემი სასოწარკვეთილება შეიცვალა მომავალისადმი ღრმა რწმენითა და ოპტიმიზმით. რატომაც არა, ხელში მქონდა ბეჭედდასმული საბრალო საბუთები, ქვას რომ გაარღვევს ისეთი. საკმარისი იყო მომეტანა, თბილმრეწვავჭრობის ასმლსამოცე მაღაზიაში, რომ ამით ან ტელევიზორს გამიცვლიდნენ, ანდა ფულად კომპენსაციას მივიღებდი.

იდეალურად დავაწყე გეგმები, მაგრამ მათი არეკ-დარეკვა სრულიადაც არ გასჭირვებია მაშინდელ მაღაზიის გამგეს სოსო კუმბატოვს.

— შენ გენაცვალე, — მითხრა მან დამშვიდებით,—არაფერ შუაში ხარ (მე დამაჯიმედა!), ყველაფერი ამათი ბრალია, ვინც უსაქმედ ზის ტელეტექლეიებში, მე არ ვცნობ მათ მიერ შეითხნილ საბუთს“.

კვლავ ტელეატელიეს მივაკითხე. აქ ოდიდად აღმფოთდნენ ასეთ გაუგონარ ცინიზმზე, მრავალი „ლამაზი“ ტიტულით შეამკეს სოსო კუმბატოვი და ამით საქმეს მორჩნენ.

გავიდა ხანი. ჩემი ფერადი ტელევიზორი სულს უღვთოდ ლაფავდა ჩემს თვალწინ, აქეთ კი მე ვიყავი უკანასკნელ დღეში და არავინ იყო ჩვენი გამკითხავი.

ახლა ყველაზე ნაღდი გზა ავირჩიე, მივედი და ჩემი გასაჭირი ვუამბე თბილმრეწვავჭრობის მუშაკებს. ისინი გაოცდნენ — როგორ თუ მაღაზია არ იბარებს უხარისხო ტელევიზორსო, და როცა სატელევიზიო ატელიეს დადგენილებას გაეცნენ, შეაღგინეს ბრძანება, რომლის ძალითაც თბილისის ასმესამოცე მაღაზიის გამგეს სოსო კუმბატოვს უსიტყვო კაპიტულაცია უნდა გამოეცხადებინა.

ასეც მოხდა. ბრძანების კილომ და სამართლიანმა მოთხოვნამ დიდი გავლენა მოახდინა სოსო კუმბატოვზე, თვალებიც კი აუცრემლდა. მღელვარება რომ დაუცხრა, მაშაშვილურად მომმართა, ბიძაკო, შენი ჭირიმე, ახლა აღწერა მაქვს, ერთ კვირაში ყველაფერს მოვრჩები და შენს კანონიერ მოთხოვნას, რა ძალა მაქვს, არ დავემორჩილოო.

ერთი კვირის ლოდინის შემდეგ მაღაზიაში აღწერა დასრულდა. ყველა გაუვებრობა გაირკვა და მე გამეგის სანასხავად მივედი. მაგრამ ის ადგილზე არ დამხვდა. თითქმის ერთ თვეს ვეძებდი გამწარებული მის ადგილსამყოფელს, მაგრამ უშედეგოდ. თურმე ისიც თავის შემცვლელს ეძებდა (ეტყობა, ვიღრე მოხსნიდნენ, სხვა სამუშაოზე გადასვლა გადაწყვეტა) და როცა მონახა მაშინღა გამოცხადდა სამსახურში. ჩემი დანახვა გულწრფელად გაუკვირდა.

— დამშვიდდი, ნუ ღელავ, ყველაფერი რიგზე იქნება, — დამაწყნარა მან, — წადი ახლა და ტელევიზორი მოიტანე, ფიქრი ნუ გაქვს, ახალი გამგე საქმის კურსშია.

როგორც იქნა, მოვიდა ახალი გამგე, მან ჩემს ულტიმატუმზე განაცხადა, რომ არაფერი იცის სოსო კუმბატოვის მაქინაციების შესახებ და მით უმეტეს წარმოდგენა არა აქვს და არც სურს ჰქონდეს ტელევიზორსა და ჩემს შესახებ.

მოვითხოვე ათასი ინსტანციებისა და უფრო მეტი კომპეტენტური პირების მიერ ამ ტელევიზორზე შედგენილი ბეჭედდასმული საბუთები, მაგრამ ახლაც გამგემ მხოლოდ ხელები გაშალა უმწეოდ და გაოცდა, ასეთი არაფერი მინახავსო. შემდეგ გადაჩხრიკეს მთელი მაღაზია, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს იმის ცნობაც კი, რომ ეს ჩემი ბედოვლათი ტელევიზორი „რუბინად“ იწოდებოდა.

160-ე მაღაზიამ სისხლი რომ გამიშრო, ახლა სიმართლის მარცვლის საძებნელად თბილმრეწვავჭრობის სამმართველოში მივედი.

აქ მომეცა მაღაზიის მიერ დაკარგული ბრძანების ახალი პირი და იქვე უბრძანეს ახალ გამგეს, უსიტყვოდ შეეხსნულებინა ინსტრუქცია. მაგრამ ახალი გამგე კეკრკეტი კაკალი აღმოჩნდა. ეარი მითხრა, ტელევიზორის საფასურს ვერ აგინაზღაურებო.

თბილმრეწვავჭრობის მუშაკებმა სიბრალულით გადმომხედეს და რადგანაც უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოისაზრეს, ეხლა შირჩიეს:

მოითმინე ბიძიკო, იქნებ როგორმე საერთო ენა გამონახო ახალ გამგესთანო. ეს თქვეს და ირონიულად გადმომხედეს, თითქოს ამბობდნენ, საინტერესოა, ახალი გამგეც სოსო კუმბატოვივით განსაკუთრებული მოსაცემების ინდივიდია თუ არაო.

ამდენი ნერვიულობის შედეგად ავად გავხედი და ამ სტრიქონებს ვწერ საავადმყოფოში. დიდი სურვილი მქონდა წერილი ვიგრძნობს სამინისტროში ვამეტანა, მაგრამ ბოლოს ვამჯობინე ჩემი გაჭირვება რედაქციისათვის მომეწერა, მგონი არჩევანში არ შევმცდარვარ.

ᲠᲝᲖᲢᲝᲛ ᲗᲘᲒᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲕᲘᲜᲓᲘ

ᲓᲦᲔ, 16 თებერვალს, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ უნალექო ამინდია მოსალოდნელი, რაონის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 10-15, მთაში 4-9 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ აღმოსავლეთ რაიონებში იქნება მცირე ნალექი და ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 3-8 გრადუსი სითბო, მთაში 1 გრადუსი ყინვა—4 გრადუსი სითბო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა და ნისლი, ტემპერატურა 6-8 გრადუსი სითბო.

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18 თებერვალი

16.50 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.25 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი საოჯახო კლუბი“, 19.00 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.15 — მსოფლიო დღეს, 19.30 — საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სასაღრო თეატრის სპექტაკლი „კორპუსი 5, ოთახი 55“, შესვენების დროს „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.15 — ახალი ამბები.

19 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ჯარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (VI-კლასელთათვის. სამეცნიერო ჯამი), 11.25 — კინონარკვევი, 11.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.45 — მხატვრული ფილმი — „ნაცულარები სამახსოვროდ“, 16.35 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში, 18.45 — მიმართვის საპასუხოდ. „ჩაფდეთ მოწინავეთა რიგებში“, 19.10 — რეკლამა, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — „ლიტერატურული ალმანახი“, 20.05 — ინტერვიუ ჩილეს სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივანთან ამბ. კარლოს ალტამირანოსთან საბჭოთა ტელევიზიისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „ქართველი კომპოზიტორები“ — ნიკოლოზ გუდიაშვილი, 21.40 — „სპორტული კვირეული“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „დონ ჟუანი ტალინში“, 23.40 — ახალი ამბები.

20 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ჯარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა დედამიწის პლანეტას“, 11.30 — მხატვრული ფილმი — „საფსიტინი წყლიერი ბიჭები“, 17.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.15 — განცხადებები, 18.20 — კინონარკვევი, 18.45 — მიმართვის საპასუხოდ. „ჩაფდეთ მოწინავეთა რიგებში“, 19.10 — რეკლამა, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — „ლიტერატურული ალმანახი“, 20.05 — ინტერვიუ ჩილეს სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივანთან ამბ. კარლოს ალტამირანოსთან საბჭოთა ტელევიზიისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „ქართველი კომპოზიტორები“ — ნიკოლოზ გუდიაშვილი, 21.40 — „სპორტული კვირეული“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ფანტაზიორი“, 23.20 — ახალი ამბები.

21 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ჯარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთში სამუდამოდ“, 11.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: მხატვრული ფილმი „ადამიანი თავის ადგილზე“, 16.35 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.20—სსრკ ისტორიაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთათვის, 18.25 — კინონარკვევი, 18.55 — „სამართლის ცოდნა მასებს“, 19.10 — კინონარკვევი, 20.00 — პარტიისადმი, ხალხისადმი მიმართვის საპასუხოდ „მეცნიერება — სოფელს“, 20.30 — „პოეტი ხტუდიაში“ — ჯ. ჩარკვიანი, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — „უკრავს მარინე მდივანი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ვედრება“, 23.45 — ახალი ამბები.

22 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ტელეტექნიკური ფილმების პროგრამა, 19.00 — ახალი ამბები, 19.15 — კინონარკვევი, 19.45 — საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის დღიური, 20.25 — მიმართვის საპასუხოდ — „ჩვენი კოლმეურნე გლეხობა“, 20.45 — კინონარკვევი, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — საესტრადო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მუსიკა და კინო“ — ს. პროკოფიევი, 23.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

19.05 — გერმანული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დოქტორი შლუტერი“ (VI სერია) ქართულ ენაზე, 20.55 — კონცერტი, 21.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „თავადის ასული რალუს მზითევი“.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

16 თებერვალი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.05 — ფერადი ტელევიზია. „ტანვარჯიში ყველასათვის“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ჭინდოკუმენტალისტის თვალით“, 11.45 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — „30 წუთი კინოსმოყვარულთათვის“, 12.45 — კინონარკვევი, 13.00 — ფერადი ტელევიზია. „თქვენ გიპასუხებთ საბჭოთა კავშირის გზათა მინისტრი ბ. ვ. ბეშჩევი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თეატრის სპექტაკლი „რობინ ჰუდი“, 15.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბებერი მეზურნეები“ (ქართულ ენაზე), 16.30 — „ბავშვობა“, 19.10 — „კინონარკვევი, 20.00 — პარტიისადმი, ხალხისადმი მიმართვის საპასუხოდ „მეცნიერება — სოფელს“, 20.30 — „პოეტი ხტუდიაში“ — ჯ. ჩარკვიანი, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — „უკრავს მარინე მდივანი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ვედრება“, 23.45 — ახალი ამბები.

23 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია, ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — „ახალი ამბები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ჯადოსნური ეკრანი, 10.50 — მხატვრული ფილმი — „ოფიცრები“, 12.25 — კინონარკვევი, 12.30 — „ადამიანი, მიწა, სამყარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — ხელოვნების ოსტატების კონცერტი. ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან (გადმოცემა მოსკოვიდან, 15.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სამაგვარ კინოალმანახი „ვარსკვლავა № 14“ (ქართულ ენაზე), 16.15 — „10 დღე ბულგარეთში“ (გამეორება), 17.15 „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 18.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — სატელევიზიო ფილმების ფესტივალის დასურვა, 20.20 — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ კონცერტი (გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის), 17.15 — „აშკარა და დაჯერებული“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 19.00 — ახალი ამბები, 19.15 — კინონარკვევი, 19.45 — საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის დღიური, 20.25 — მიმართვის საპასუხოდ — „ჩვენი კოლმეურნე გლეხობა“, 20.45 — კინონარკვევი, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — საესტრადო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მუსიკა და კინო“ — ს. პროკოფიევი, 23.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

19.05 — გერმანული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დოქტორი შლუტერი“ (VI სერია) ქართულ ენაზე, 20.55 — კონცერტი, 21.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „თავადის ასული რალუს მზითევი“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

17 თებერვალი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკავირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „მუსიკალური რადიოგაზეთი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ანსამბლ „ციცინათელას“ კონცერტი, 14.45 — „ვეფხისტყაოსანი“. მხატვრული კითხვა, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“. ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — „დიდები და პატარები“, საუბარი „ვიყოთ სამართლიანი ბავშვის მიმართ“, 15.45 — ა. სკრიაბინი. საფორტეპიანო ეტიუდები, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — განცხადებები, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ცეცხლის საიდუმლოება“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 20.35 — ა. ბელიაშვილი. „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“. რადიოდადგმა (საწილი მეორე), 21.45 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელ თ. ერთ-ა კონცერტი 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

16 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური (ვაჟა-ფშაველას პრსპ. № 43) — **ᲓᲐᲘᲡᲘ:** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲠᲐᲘᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲯᲝᲯᲮᲝᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲨᲐᲘᲗᲐᲜ ᲮᲘᲮᲝ.**

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 74 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1974-75 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

1. საყოფაცხოვრებო ელექტრო ხელსაწყოს მომსახურე და შემკეთებელი ზეინკლის და 2. ქალისა და ბავშვის მსუბუქი კაბების კერვის სპეციალობებზე. თვითეულ სპეციალობაზე განსაზღვრულია 30 მოსწავლის მიღება.

სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია. მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 30 წლამდე, ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთ.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ მიღებულ მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია თვეში 30 მანეთის ოდენობით (ფრიადოსნებს 25%-ით გადიდებული), შეღავათი საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევაზე და სწავლის პერიოდი ითვლება საწარმოო სტაჟში.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი **ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ:** 1. განცხადება დირექტორის სახელზე, 2. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. დაბადების მოწმობა (დედანი), 5. სამხედრო ბილეთი ან წვევამდლის მოწმობა, 6. პასპორტი, 7. ფოტოსურათი 6 ცალი ზომით 3X4, 8. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ.

ᲓᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ მიიღება ა. წ. 28 თებერვლამდე. სწავლა დაიწყება 1 მარტს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10. საქენერგომშენის დასახლება.

ტრანსპორტი: სამარშრუტო ტაქსი № 5 და ავტობუსი № 16 ლენინის მოედნიდან, ავტობუსი № 10 მეტრო სამგორიდან და ავტობუსი № 51 მეტროს 26 კომისრის სადგურიდან. ყველა ბოლო გაჩერებამდე. ტელეფონები 71-21-20 71-32-35, 71-15-66.

ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ.

280008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-93-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიულ—99-67-61. ბროლ-განდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ЗЗ 02477

სტ. „ლ. ტროცკის“ გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ